ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N75

2018 წლის 11 აპრილი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ." ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ქ.ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი N1-ის მიმდებარედ 478.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.08.232) 10.0 კვ.მ მიწის ნაკვეთი 1 (ერთი) წლის ვადით, იჯარის ფორმით სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით ა(ა)იპ „უსინათლოთა ხმა"-ს;

2. ქ.ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი N1-ის მიმდებარედ 478.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.08.232) 10.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი